02.12.2022წ.

განმარტებითი ბარათი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

I. წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში იცვლება შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები. ცვლილება ძირითადად გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის N2198 განკარგულების „საახალწლო და მიმდინარე წლის შემაჯამებელი ღონისძიებების ორგანიზების შესახებ“ შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ გათვალისწინებული ღონისძიებების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისთვის საკუთარი შემოსავლების დაზუსტებით.

II. ზუსტდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შემოსულობები და ხდება 33 630 923 ლარი. მათ შორის:

1. იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 242 000 ლარით და ხდება 14 452 000 ლარი.
2. ზუსტდება გრანტები და ხდება 15 115 923 ლარი.

III. მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით დაზუსტებული ნაშთის ცვლილება შეადგენს 3 550 509 ლარს.

IV. ზუსტდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები და ხდება 37 181 432 ლარი. მათ შორის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება განისაზღვროს 22 736 946 ლარით.
2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება განისაზღვროს 1 737 305 ლარით.
3. განათლების დაფინანსება განისაზღვროს 4 110 630 ლარით.
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღროს 2 918 236 ლარით.
5. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განისაზღვროს 1 398 215 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით, საახალწლო და მიმდინარე წლის დასრულებასთან დაკავშირებით გაიმართება სხვადასხვა ღონისძიებები: კონცერტი; საშობაო ბაზრობა; გამოფენა-გაყიდვა; საბავშვო გასართობი სივრცეების, ფოტოგადასაღები ზონების და საახალწლო ინსტალაციების მოწყობა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების თოვლის ბაბუასთან შეხვედრის ცერემონია, ფოიერვერკი და სხვა.

IV. შემოთავაზებული ცვლილებების პროექტით ცვლილებები უნდა შევიდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

V. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის დამტკიცების ოპტიმალურ ვადად მიჩნეულია 2022 წლის დეკემბრის თვის პირველი დეკადა.

VI. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს წარადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი და საფინანსო სამსახურის უფროსი.

საფინანსო სამსახურის უფროსი: /გიორგი მანგოშვილი/